ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს

2017 წლის 26 ოქტომბრის სხდომის

ოქმი № 5

სხდომას ესწრებოდა: 35 წევრიდან – 18.

დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის დებულების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
2. ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
3. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ
   მომხს: რ. ჯორბენაძე
4. დოქტორანტურაში სწავლის გადასახადის დამტკიცება
   მომხს: თ. დოლბაია
5. ტექნიკური ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში
   მომხს: რ. ჯორბენაძე
6. საგანმანათლებლო საბაკალავრო ბილინგვური პროგრამის "ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია" ხელმძღვანელის დამტკიცება
   მომხს: რ. ჯორბენაძე
7. სამეცნიერო სტატიის დაფინანსების წესის შესახებ
   მომხს: თ. დოლბაია
8. ცვლილებები საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესში
   მომხს: თ. დოლბაია
9. სოფიო პეტრიაშვილის საკითხი
   მომხს: თ. დოლბაია
10. ცვლილება კრედიტების აღიარების კომისიის შემადგენლობაში
    მომხს: რ. ჯორბენაძე
11. ფაკულტეტის საბჭოში წევრთა ცვლილების შესახებ
    მომხს: თ. დოლბაია
12. "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის" ახალი რედკოლეგიის დამტკიცების შესახებ
    მომხს: თ. დოლბაია

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეთ შეახსენა 2016 წლის 31 მარტს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე (ოქმი № 4) განხილული და დამტკიცებული ფაკულტეტის დებულების შესახებ, რომელსაც მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო არ მისცემია მსვლელობა, თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოზე გასატანად. ახლა, ფაკულტეტს ემატება ახალი სტრუქტურული ერთეული მულტიმედია ცენტრის სახით და აუცილებელია ფაკულტეტის დებულების დამტკიცება.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, თ. მახარაძემ, ა. ბერძენიშვილმა, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის დებულება დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

მოისმინეს: 2. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრეთ წარუდგინა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება, რომელშიც შედის ცვლილებები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 29 იანვრის ბრძანება №07/6 –ის შესაბამისად.

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, რ. ჯორბენაძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება და დასამტკიცებლად გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს.

მოისმინეს: 3. ინფორმაცია ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის შესახებ დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, ზ. დავითაშვილმა, მ. შამილიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა და საბაკალავრო ბილინგვური პროგრამის "ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია" და "საერთაშორისო ურთიერთობების" სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ პროგრამების სააკრედიტაციოდ მომზადება.

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს შესთავაზა 2017-2018 სასწავლო წელს დოქტორანტურაში ჩარიცხულთათვის სწავლის გადასახადი შენარჩუნდეს წინა წლების გამოცდილებით და განისაზღვროს 250 ლარის ოდენობით სემესტრში.

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, ნ. პავლიაშვილმა, მ. მაცაბერიძემ, ა. ბერძენიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის დოქტორანტურაში 2017-2018 წელს ჩარიცხულთათვის სწავლის გადასახადი 250 ლარის ოდენობით სემესტრში.

მოისმინეს: 5. ტექნიკური ცვლილებების აუცილებლობის შესახებ ფაკულტეტის კურიკულუმში ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: ა. ბერძენიშვილმა, ზ. დავითაშვილმა, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ტექნიკური ცვლილებები ფაკულტეტის კურიკულუმში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

მოისმინეს: 6. საგანმანათლებლო საბაკალავრო ბილინგვური პროგრამის "ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია" ხელმძღვანელის დამტკიცების აუცილებლობაზე ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა რ. ჯორბენაძემ. მან თქვა, რომ პროგრამის ხელმძღვანელმა ვერ გაიარა აკადემიური კონკურსი და საჭიროება მოითხოვს ახალი ხელმძღვანელის დამტკიცებას.

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, თ. დოლბაიამ, მ. შამილიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: საგანმანათლებლო საბაკალავრო ბილინგვური პროგრამის "ჟურნალისტიკა და მასკომუნიკაცია" ხელმძღვანელად დამტკიცდეს ასოცირებული პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

მოისმინეს: 7. ფაკულტეტის დეკანმა დამსწრეთ გააცნო ინიციატივა პროფესორთათვის საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების ხელშეწყობის მიზნით სამეცნიერო სტატიის დაფინანსების წესის შემუშავების შესახებ

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, ზ. დავითაშვილმა, ნ. დურგლიშვილმა, თ. მახარაძემ და სხვ.

დაადგინეს:

1. ფაკულტეტის პროფესურას აუნაზღაურდეს "საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსირებულ ჟურნალებში (ინდექსი 1,5 და მეტი) პუბლიკაციების ხარჯები";
2. ანაზღაურება განხორციელდეს პროფესორის მიერ პუბლიკაციის დამადასტურებელი საბუთისა და ჩასარიცხი თანხის ინვოისის წარმოდგენის საფუძველზე;
3. შევიდეს ცვლილებები ფაკულტეტის ბიუჯეტში და შესაბამის მუხლში დაემატოს პუნქტი – "საერთაშორისო სამეცნიერო ინდექსირებულ ჟურნალებში (ინდექსი 1,5 და მეტი) პროფესორთა პუბლიკაციების ხარჯები".

მოისმინეს: 8. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ წარმოადგინა ცვლილებები საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესში

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, თ. მატარაძემ, ა. სულამანიძემ, ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები საბაკალავრო ნაშრომის დაცვის წესში, კერძოდ:

პუნქტი –"საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი" - ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობას უძღვება ხელმძღვანელი, რომელსაც ირჩევს სტუდენტი შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალიდან (პროფესორი, ასოცირებული და ასისტენტ პროფესორი). სტუდენტმა, შესაძლოა ხელმძღვანელად აირჩიოს მოწვეული ლექტორიც.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის შერჩევის პროცესს ახორციელებს შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი.

საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს საბაკალავრო ნაშრომის თემის შერჩევას, კვლევის ჩატარებისა და ნაშრომის დასაცავად წარდგენის პროცესს. "

პუნქტი –"საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევა" - მეორე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"სემესტრის დაწყებიდან 2 კვირის განმავლობაში, სტუდენტთა საბაკალავრო ნაშრომების სავარაუდო სათაურებსა და ხელმძღვანელების კანდიდატურებს, ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს გადასცემს შესაბამისი საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ვებგვერდზე ასატვირთად".

პუნქტი –"დაცვის შემდგომი პროცედურები" – მესამე აბზაცად დაემატოს:

"სტუდენტს გააჩნია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების შედეგების გასაჩივრების უფლება."

მოისმინეს: 9. ფაკულტეტის დეკანმა საბჭოს წევრებს გააცნო სოფიო პეტრიაშვილის განცხადება, რომლითაც ის ითხოვს სამეცნიერო - შემოქმედებით შვებულებას. განცხადება დათარიღებულია 9 ოქტომბრით და მასში მკაფიოდ არაა მითითებული თუ რა მიზნით ითხოვს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი შვებულებას. ასევე, ს. პეტრიაშვილს 18 სექტემბრიდან უნდა ჰქონოდა სემესტრული დატვირთვა და განეხორციელებინა სააუდიტორიო აქტივობები.

აზრი გამოთქვეს: ნ. ბელქანიამ, ნ. დურგლიშვილმა, თ. მახარაძემ, ზ. დავითაშვილმა, ფ. ასანიშვილმა და სხვ.

დაადგინეს: ს. პეტრიაშვილმა შემოიტანოს მკაფიო და დასაბუთებული განცხადება სამეცნიერო - შემოქმედებითი შვებულების მოთხოვნით და მიუთითოს კონკრეტულად რა კვლევით პროდუქციას შექმნის, რაც საკითხის განხილვისთვის აუცილებელი პირობაა.

მოისმინეს: 10. ცვლილებები კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობაში წარმოადგინა რ. ჯორბენაძემ

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, ნ. პავლიაშვილმა, მ. შამილიშვილმა, ა. ბერძენიშვილმა, ნ. ბელქანიამ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილებები კრედიტების აღიარების საფაკულტეტო კომისიის შემადგენლობაში:

1.რევაზ ჯორბენაძე - კომისიის თავმჯდომარე

2. მარეხ დევიძე - ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

3.მარიამ მსხალაია - კომისიის მდივანი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

4.ნათია მონიავა - ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი

5. ფიქრია ასანიშვილი - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

6. ვალერიან მელიქიძე - საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

7. სალომე დუნდუა - პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი

8. მანანა შამილიშვილი - ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

9. ხათუნა მაისაშვილი - ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

10. მარინა ბურძენიძე - სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

მოისმინეს: 11. ფაკულტეტის საბჭოში წევრთა ცვლილების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის დეკანმა. მან დამსწრეთ წარუდგინა ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციისა და საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტებიდან გამოგზავნილი ოქმები, ფაკულტეტის საბჭოში პროფესორთა ჩანაცვლების შესახებ (იხ. დანართი).

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, გ. გოგსაძემ, ვ. მელიქიძემ და სხვ.

დაადგინეს: შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში და ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტიდან, ნაცვლად მ. გერსამიასა და დ. ოსეფაშვილისა შევიდნენ - ხ. მაისაშვილი და ნ. ჭალაგანიძე; ხოლო

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტიდან, მ. ბოკერიას ნაცვლად - ვ. ლორთქიფანიძე.

მოისმინეს: 12. "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის" ახალი რედკოლეგიის შემადგენლობა დასამტკიცებლად წარმოადგინა ფაკულტეტის დეკანმა. მან მადლობა გადაუხადა რედკოლეგიის წევრებს რთული და საპასუხისმგებლო შრომისთვის.

აზრი გამოთქვეს: ვ. მელიქიძემ, ნ. პავლიაშვილმა, მ. შამილიშვილმა; ნ. დურგლიშვილმა განაცხადა, რომ არ ეთანხმება რედკოლეგიის შეცვლის პრინციპს.

დაადგინეს: დამტკიცდეს "ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალის" რედკოლეგიის შემადგენლობა შემდეგი სახით:

1. კ. კაკაჩია – რედკოლეგიის თავმჯდომარე, პროფესორი, პოლიტიკის მეცნიერების დეპარტამენტი

რედკოლეგიის წევრები:

1. ი. კაჭკაჭიშვილი – პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი
2. ვ. მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი
3. ხ. მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტი
4. თ. თურმანიძე – ასოცირებული პროფესორი, საერთასორისო ურთიერთობების დეპარტამენტი
5. ზ. აბაშიძე – ასოცირებული პროფესორი, ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი
6. თ. მატარაძე – ასოცირებული პროფესორი, ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვიტარების სამსახურის უფროსი

ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფი:

1. მ. მიქაძე
2. ნ. ქობალია
3. ლ. კახიშვილი

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე : თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი : მ. შამილიშვილი, ასოცირებული პროფესორი

26 ოქტომბერი, 2017

ფაკულტეტის დეკანი

თამარ დოლბაია

პოლიტიკის მეცნიერებათა დეპარტამენტი

1. ალექსანდრე კუხიანიძე
2. მალხაზ მაცაბერიძე
3. გია ჟორჟოლიანი
4. ნანა მაჭარაშვილი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

1. ვალერიან მელიქიძე
2. ნინო პავლიაშვილი
3. გიორგი გოგსაძე

სართაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი

1.ზურაბ დავითაშვილი
2 ფიქრია ასანიშვილი
3 თორნიკე თურმანიძე

სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის დეპარტამენტი

1.იაგო კაჭკაჭიშვილი
2.ამირან ბერძენიშვილი
3.ნინო დურგლიშვილი
4.თამარ მახარაძე

ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამენტი

1.მანანა შამილიშვილი
2.ნანა ტალახაძე
3.მარი წერეთელი

ინტერდისციპლინური კვლევების დეპარტამენტი

1.რევაზ ჯორბენაძე
2.ნოდარ ბელქანია
3.ზურაბ აბაშიძე
4.თეონა მატარაძე

სტუდენტური თვითმმართველობა

ტარიელ ირემაძე
ალისა სულამანიძე
ანნა ჯაყელი
მარიამ ეგეტაშვილი
მარიამ ლაცაბიძე
ელენე ლომსაძე
ანნა ცქიტიშვილი
გიორგი გოგატიშვილი
დიმიტრი სანაია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

თამარ დოლბაიას

ქალბატონო თამარ,

გთხოვთ, შესაბამისი ადმინისტრაიული მსვლელობა მისცეთ ამონაწერებს ჟურნალიტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის სხდომებს (2017 წლის 20 ივლისისა და 2017 წლის 18 ოქტომბრის) ოქმებიდან, რომლებითაც დასტურდება ნინო ჭალაგანიძისა და ხათუნა მაისაშვილის არჩევა ფაკულტეტის საბჭოს წევრებად ჟურნალიტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის დეპარტამეტის კვოტით.

პატივისცემით,

მაწანა შამილიშვილი

მარი წერეთელი

13190/30-3
20 XI 2017

ამონაწერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის საბჭოს სხდომის ოქმიდან (18 ოქტომბერი, 2017 წელი).

სხდომის დღის წესრიგის პირველ საკითხად განიხილეს ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს წევრის არჩევა დეპარტამენტის კვოტით.

მოისმინეს: დეპარტამენტის ხელმძღვანელის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ დალი ოსეფაშვილის მიერ აკადემიური კონკურსის გაუვლელობის შედეგად ფაკულტეტის საბჭოში გაჩნდა დეპარტამენტის კვოტით განსაზღვრული ვაკანტური ადგილი. ნინო ჭალაგანიძემ მიმართა კოლეგებს წინადადებით, დაესახელებინათ კანდიდატურა ამ ვაკანტურ თანამდებობაზე, რომელსაც დააყენებდნენ კენჭისყრაზე.

მანანა შამილიშვილმა და ნინო ჭალაგანიძე აღნიშნულ ვაკანსიაზე ერთხმად დაასახელეს ხათუნა მაისაშვილი.

კენჭი უყარეს: ხათუნა მაისაშვილის კანდიდატურას ფაკულტეტის საბჭოს წევრად.

კენჭისყრის შედეგად დაფიქსირდა შემდეგი შედეგი: მომხრე -11; თავი შეიკავა -1 მონაწილემ, ხათუნა მაისაშვილმა; წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს:

დამტკიცდეს ხათუნა მაისაშვილი ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს წევრად.

სხდომის თავმჯდომარე: მარი წერეთელი

სხდომის მდივანი: მანანა შამილიშვილი

ამონაწერი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის სხდომის ოქმიდან (2017 წლის 20 ივლისი)

სხდომის დღის წესრიგში პირველ საკითხად იყო შეტანილი ფაკულტეტის საბჭოში დეპარტამენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის არჩევა.

მოისმინეს: დეპარტამენტის ხელმძღვანელის, ნინო ჭალაგანიძის, ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროფესორ გერსამიას მიერ ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტის დატოვებისა და ინტერდისციპლინურ დეპარტამენტში გადასვლის შემდეგ, მარიამ გერსამიას - ფაკულტეტის წესდების მიხედვით - ავტომატურად შეუწყდა ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტის წარმომადგენლის უფლებამოსილება ფაკულტეტის საბჭოში. სხდომის თავმჯდომარემ მიმართა სხდომის მონაწილეებს, დაესახელებინათ ფაკულტეტის საბჭოში დეპარტამენტის წარმომადგენლის კანდიდატურა/კანდიდატურები კენჭისყრაზე დასაყენებლად.

პროფესორმა დალი ოსეფაშვილმა დაასახელა ნინო ჭალაგანიძის კანდიდატურა; სხვა კანდიდატურა არ დასახელებულა.

კენჭი უყარეს: ნინო ჭალაგანიძის კანდიდატურას დეპარტამენტის წარმომადგენლად ფაკულტეტის საბჭოში.

სხდომის მონაწილეებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი დასახელებულ კანდიდატურას.

დაადგინეს: ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტს ფაკულტეტის საბჭოში სრულუფლებიანად წარმოადგენს ნინო ჭალაგანიძე.

სხდომის თავმჯდომარე: მანანა შამილიშვილი

სხდომის მდივანი: მარია წერეთელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი

ამონაწერი სხდომის ოქმი 2

სხდომას ესწრებოდნენ: პროფესორები: გ. გოგსაძე, ი. სალუქვაძე, ვ. ლორთქიფანიძე; ასოცირებული პროფესორები: თ. დოლბაია, ი. იაშვილი , გ. კვინიკაძე , ნ. პავლიაშვილი, ასისტენტ-პროფესორი: ვ. ჩხაიძე

დღის წესრიგი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში ახალი წევრის არჩევა.

მოისმინეს: საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელის- პროფესორ გიორგი გოგსაძის ინფორმაცია.

ვინაიდან, ასოცირებული პროფესორი მარინე ბოკერია პენსიაზე გავიდა, ის ავტომატურად გამოვიდა ფაკულკტეტის საბჭოს შემადგენლობიდან, ამიტომ, საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტი, მეოთხე წევრად ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში წარადგენს პროფესორ ვაჟა ლორთქიფანიძეს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორმა ი. სალუქვაძე, ასოცირებულმა პროფესორმა ი. იაშვილი.

დაადგინეს: საზოგადოებრივი გეოგრაფიის დეპარტამენტიდან ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაში შეყვანილ იქნას პროფესორი ვაჟა ლორთქიფანიძე.

სხდომის თავმჯდომარე: გ. გოგსაძე

სხდომის მდივანი: ნ. პავლიაშვილი

თარიღი: 26. 10.2017

სსიპ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს

ქალბატონ თამარ დოლბაიას

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების

ასოცირებული პროფესორის

სოფიო პეტრიაშვილის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ქალბატონო თამარ, გთხოვთ, მომცეთ აკადემიური შვებულება 2017-2018 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრის პერიოდში. მსურს, აღნიშნული პერიოდი გამოვიყენო სადოქტორო ნაშრომის წიგნად გარდაქმნისთვის. ასევე მოვამზადებ მონოგრაფიას შავი ზღვის რეგიონზე.

პატივისცემით

სოფიო პეტრიაშვილი ს. პეტრიაშვილი

9.10 2017

„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 23 იანვრის №7/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების” მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე–5 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები **„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 23 იანვრის №7/2017** დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში (სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულება):

ა) მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დოქტორანტის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სადისერტაციო ნაშრომს (140 კრედიტი) და 2 კოლოკვიუმს“.

ბ) მე-11 მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დოქტორანტი თავისუფლდება სემესტრული რეგისტრაციისა და სწავლის გადასახადისგან თუ დოქტორანტი ნაშრომს წარმოადგენს მიმიდინარე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში ნაშრომის წარდგენისთანავე, სხვა შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში დადგენილი წესით წარდგენის შემდეგი სემესტრიდან“.

გ) მე-14 მუხლის მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 8. სადისერტაციო კომისიის მიერ „ არადამაკმაყოფილებელი" შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის ერთი წლის განმავლობაში წარდგენის უფლება“.

დ) სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულების **დანართი #3** სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასების წესი ჩამოყალიობდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი #3 სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასების წესი

სადოქტორო კოლოკვიუმი არის სადოქტორო პროგრამის შემადგენელი კომპონენტი, არადამაკმოყოფილებელი ან სრულიად არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება დოქტორანტის დაცვაზე არდაშვების თაობაზე.

საკოლოკვიუმო თემას უნდა ჰქონდეს მოკლე შესავალი ნაწილი, რომელშიც ასახული იქნება სადისერტაციო ნაშრომის მიზანი და აქტუალობა.
დოქტორანტი კოლოკვიუმს ირჩევს lms.tsu.ge-ზე, აკადემიური რეგისტრაციის პერიოდში. დარეგისტრირების ვადის დასრულებიდან ერთი თვეში სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელებთან კონსულტაციის საფუძველზე შეადგენს კოლოკვიუმის დაცვის საფაკულტეტო გრაფიკს (სემესტრის დასკვნითი გამოცდების პერიოდში ერთი კვირის განმავლობაში), რომელსაც ამტკიცებს ფაკულტეტის დეკანი. გრაფიკის საინფორმაციო უზრუნველყოფას ახორციელებს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური. დოქტორანტმა საკოლოკვიუმო ნაშრომის ელექტრონული ვერსია უნდა ატვირთოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის მიერ მითითებულ მისამართზე (https://tsu.ge/ge/faculties/social/hccla0ixc_o-h_tgp/phd_soc/yylmh84v63gpyuzvd//), სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულებიდან 10 დღის ვადაში, ხოლო ბეჭდური ვერსია უნდა წარადგინოს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურში, დაცვამდე 5 დღით ადრე.

სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური უზრუნველყოფს კოლოკვიუმის ელექტრონული ვერსიის დარგობრივი კომისიის წევრებთან, პროცედურების დარღვევის შემთხვევაში დოქტორანტი დაცვაზე არ დაიშვება.

კოლოკვიუმის შფასება ხდება ქვემოთ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით

დოქტორანტი კოლოკვიუმის პრეზენტაციით (15–20 წუთი) წარდგება დარგობრივი კომისიის წინაშე, რომელსაც დაცვისთვის აუცილებელ ყველა საბუთს გადასცემს სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტი. კოლოკვიუმის დაცვის პროცესი საჯაროა. დარგობრივი კომისია უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას, თუ მას ესწრება კომისიის წევრთა საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი.
სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასება ფორმდება უწყისში (იხ. უწყისის დანართი 1). დოქტორანტის კოლოკვიუმის ბეჭდური და ელექტრონული ვერსიები, შეფასების უწყისი უნდა ინახებოდეს დოქტორანტის პირად საქმეში, ხოლო დისერტაციის დაცვის შემდეგ დაარქივდეს შესაბამისი წესით.

კოლოკვიუმის გაფორმება:

- ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი

უნდა იყოს pdf ფორმატში; დოკუმენტის სახელწოდება უნდა იყოს PhD Colloquium და ავტორის გვარი მიეთითოს მაგალითისამებრ (მაგ.: PhD Colloquium.Abashidze);

- ნაშრომი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- შრიფტის რეკომენდებული სახე– AcadNusx, ანSylfaen
- შრიფტის ზომა– 12
- სტრიქონებს შორის მანძილი– 1,5 ინტერვალი;
- ფურცლის არესა და ტექსტს შორის მანძილი–2 სანტიმეტრი;
- ნაშრომის მოცულობა– არანაკლებ 20 გვერდისა დანართის გარეშე;
- ნაშრომი გაფორმებული უნდა იყოს APA სტილში

სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასების კრიტერიუმები:

ნაშრომის აქტუალობა,საკვლევი პრობლემის დასაბუთება
წყაროების რელევანტურობა საკვლევ საკითხთან და კონცეპტუალური ჩარჩოს გამართულობა
ახალი ცოდნის შექმნაზე ორიენტირებული მეთოდები და მიდგომები
შესაბამისობა სადოქტორო კოლოკვიუმის გაფორმების წესთან, ცოდნის დასაბუთებულად და გარკვევით გადმოცემა
კომუნიკაციისა და მსჯელობის უნარი

სადოქტორო კოლოკვიუმის შეფასების უწყისი

სადოქტორო პროგრამის დასახელება: ----------

სასწავლო წელი:_____ სემესტრი:_____

დოქტორანტის გვარი, სახელი: _____

კოლოკვიუმის სახელწოდება

_____

დოქტორანტის ხელმძღვანელის გვარი, სახელი:

_____

	საკოლოკვიუმო ნაშრომის შეფასება	შეფასება	შენიშვნა
1	კოლოკვიუმის შეფასება დარგობრივი კომისიის მიერ		

შეფასების სისტემა:

ფრიადი	summa cum laude	შესანიშნავი ნაშრომი
ძალიან კარგი	magna cum laude	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება
კარგი	cum laude	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება
საშუალო	bene	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს
დამაკმაყოფილებელი	rite	შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს
არადამაკმაყოფილებელი	*insufficienter*	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს
სრულიად არადამაკმაყოფილებელი	*sub omni canone*	შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------

დარგობრივი კომისიის მდივნის ხელმოწერა: ---------

დარგობრივი კომისიის წევრთა ხელმოწერა: -------

შევსებისთარიღი: ----------
---

2. დადგენილების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი, №6).
3. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგიშარვაშიძე
რექტორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე